საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმი N3

ქ. თბილისი 07 აგვისტო 2013 წ.

შესყიდვის საგანი: ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. N2-ის მიმდებარედ არსებულ 40 000,0 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი N01.19.19.009.031) დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო განაშენიანების გენერალური გეგმისა და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის **(N764, 08.05.2013)** საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

- -მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
- -კობა ხუბუნაია — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- -ზაზა იმედაშვილი — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- - მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- - კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

- - გია ნაჭყებია — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- - გიორგი კვანჭილაშვილი — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- - დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- - მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. N2-ის მიმდებარედ არსებულ 40 000,0 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი N01.19.19.009.031) დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო განაშენიანების გენერალური გეგმისა და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ელექტრონული „კონკურსის“ **(N764, 08.05.2013)** შედეგების განხილვა.
2. კონკურსში **(N764, 08.05.2013)** მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა გიორგი კვანჭილაშვილმა სატენდერო (საკონკურსო) კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად ელექტრონულ კონკურსში **(N764, 08.05.2013)** თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა ოთხი კონკურსანტი:

1. შპს "Georgianhause;

2. შპს „ჯეორესეტი";

3. შპს საპროექტო-სამშენებლო კომპანია „კარკასი" ;

4. თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია;

რომელთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია წინა საკონკურსო კომისიის სხდომის (ოქმი N2, 27.05.2013წ) გადაწყვეტილების საფუძველზე განსახილველად გადაეცა სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციების საკონკურსო განცხადებაში გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა გიორგი კვანჭილაშვილმა სატენდერო (საკონკურსო) კომისიას გააცნო ინფორმაცია კონკურსანტების მიერ წარმოდგენლი საკონკურსო წინადადებების ფასების შესახებ და აღნიშნა, რომ შპს საპროექტო-სამშენებლო კომპანია „კარკასი" -ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებაში არ იყო მითითებული საკონკურსო წინადადების ფასი, ხოლო დანარჩენი სამი კონკურსანტის მიერ შემოთავაზებული მომსახურების მოწოდების ღირებულება შეადგენს:

ა) შპს "Georgianhause - **175 000** (ას სამოცდათხუთმეტი ათასი ლარი) ლარი;
ბ) შპს ,,ჯეორესეტი" – **150 000** (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი;
გ) თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია - **180 000** (ას ოთხმოცი ათასი ლარი)ლარი;

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:
სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, მოსაწოდებელი მომსახურების არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციაზე მოხსენება გააკეთა სამინისტოს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა გია ნაჭყებიამ, რომელმაც აღნიშნა რომ, როგორც საკონკურსო დავალებით იყო განსაზღვრული, სამინისტროსთვის აღნიშნული პროექტის შედგენისას მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ბინების მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობა. წარმოდგენილი კონცეფციების შესწავლისას, აღნიშნულ საკითხში უპირატესობა მიენიჭა შპს "Georgianhause"-ის მიერ წარმოდგენილ კონცეფციას, რომელშიც მოცემულია ბინების 2 ვარიანტი, I ვარიანტი ითვალისწინებს - 1 752 ბინას და II ვარიანტი - 2 225 ბინას. ასევე სხვა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი კონცეფციებისაგან განსხვავებით, შპს "Georgianhause"-ის კონცეფციაში წარმოდგენილია დასაპროექტებელი სახლების ტიპიური სართულების გეგმა და რაოდენობები მათი ვიზუალური შეფასებისათვის. ამასთან ძალაში რჩება პირობა, რომ ქ.თბილისის არქიტექტურულ სამსახურთან განაშენიანების რეგიონალური გეგმის შეთანხმების შემდეგ, კონცეფციით წარმოდგენილი ბინების რაოდენობა (1752 ბინა) არ შემცირდება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებმა განიხილეს და წერილობითი შეფასება მისცეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას, შემოთავაზებული ფასისა და არქიტექტურული კონცეფციის გათვალისწინებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ გადაწყვიტა:
1. შპს "Georgianhause"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "Georgianhause"-ის საკონკურსო წინადადება.
3. სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატს დაევალა:
3.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.
3.2. შპს "Georgianhause"-ისათვის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:	გოგი ფაცაცია
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:	მერაბ მენაბდე
	კობა ხუბუნაია
	ზაზა იმედაშვილი
	მურად აბლოთია
	კახაბერ პეტრიაშვილი
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:	
	გია ნაჭყებია
	გიორგი კვანჭილაშვილი
	დავით ლოლაძე
	მაიკო მიქაია